წერილის ნომერი: **78-782309412**
თარიღი: **04/04/2023**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ქეთევან თურაზაშვილს

ქალბატონ ქეთევან,

თქვენი, მიმდინარე წლის 27 მარტის N 2221/3-38/23 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნების ფარგლებში სოციალური ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას გაცნობებთ შემდეგს:

1. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბერის № 39 დადგენილების ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' დანართის მე-8 და მე -16 მუხლების თანახმად, მარტოხელა მშობლების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალური პროგრამა/ქვეპროგრამით გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარებები.

მუხლი 8. მარტოხელა მშობლების დახმარება

1. მარტოხელა მშობელზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა შემდეგნაირად:

ა) მარტოხელა მშობელზე რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები ერთჯერადად გაიცემა

200 ლარი;

ბ) საახალწლო-საშობაოდ თითოეულ ოჯახზე გაიცემა 150 ლარი.

გ) აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით თითოეულ ოჯახზე გაიცემა 150 ლარი;

მუხლი 16. შშმ პირების, მათ შორის ბავშვების, ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულ პირების,

ომში დაღუპულ ოჯახის წევრების, მარჩენალდაკარგულების, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან

დევნილთა ოჯახების და მარტოხელა მშობლების დახმარება

1. შშმ პირების, მათ შორის ბავშვების, ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულ პირების, ომში

დაღუპულ ოჯახის წევრების, მარჩენალ დაკარგულებისა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა

ოჯახების და მარტოხელა მშობლების დახმარების მიზნით თითოეული ოჯახის (ყოველთვიურად)

წყლის და კანალიზაციის გადასახადის და დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა მოხდება

ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2. დღეის მდგომარეობით არ გვყავს, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლები, რომლებიც ფაქტიურად ცხოვრობენ და რეგისტრირებული არ არიან მუნიციპალიტეტში.

3. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მარტოხელა სტატუსის მქონე პირების გაძლიერების მიზნით, ვაწარმოებთ კვლევას, კვლევიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ დამატებით შევიმუშავებთ მიზნობრივ ქვეპროგრამას და სამომავლოდ ასახული იქნება ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში.

პატივისცემით,

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი